



დეენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

პროგრამის კოდი: 01-2019

განმახორციელებელი უწყება: სსიპ საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტო და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო
განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა საქართველოში“

2019 წელი



დევნილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

სარჩევი

შესავალი.....	3
1. პროგრამის დასაბუთება.....	4
2. პროგრამის აღწერა.....	5
3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი.....	8
4. პროგრამის მიზანი.....	8
5. პროგრამის შედეგი.....	9
6. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა.....	9
7. საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....	9
8. შეფასებების კრიტერიუმები და მათი განმარტება.....	10
9. წარსადგენი დოკუმენტაცია.....	14
10. პროგრამის განხორციელების პროცედურა.....	14
11. სამოქმედო გეგმა.....	15
12. პროგრამის ხანგრძლივობა.....	17
13. პროგრამის ბიუჯეტი.....	17
14. პროგრამის მონიტორინგი.....	18
15. პროგრამის შეფასება.....	18



შესავალი

პროგრამის შემუშავება მოხდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევენილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიისა“ და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N404 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევენილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) საფუძველზე.

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა “ზრდა საქართველოში“ (შემდეგში - პროექტი ზრდა) სააგენტოს მომართა წინადადებით, გაერთიანებინათ არსებული ფინანსური რესურსი. რის შედეგადაც, დაფინანსებულთა რაოდენობა გაიზარდა.

აღნიშნული პროგრამა საპილოტე რეჟიმში განხორციელდა 2018 წელს შეზღუდული სამიზნე ჯგუფისათვის. პროგრამის შედეგებისა და არსებული მოთხოვნის საფუძველზე, პროგრამა მოდიფიცირდა, კერძოდ, გაფართოვდა პროგრამის სამიზნე ჯგუფი.

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, მოხდა სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა (შემდეგში - სააგენტო) და პროექტ ზრდას ფინანსური სახსრების გაერთიანება.



1. პროგრამის დასაბუთება

სააგენტოს უპირველესი მიზანია დევენილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად სააგენტო შეიმუშავებს, ახორციელებს და აფასებს საარსებო წყაროების პროგრამებს, რომლებიც მაქსიმალურად არის მორგებული დევენილთა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. სასათბურე მეურნეობების მოწყობის გზით დევენილთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტომ 2018 წელს პროექტ ზრდასთან ერთად საპილოტე რეჟიმში განახორციელა საგრანტო პროგრამა, რომელიც მიმართული იყო კონკრეტული ვიწრო სამიზნე ჯგუფზე. კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის პროგრამის“ ბენეფიციარ დევენილებზე, რომლებსაც სახლთან ერთად საკუთრებაში გადაეცათ მიწის ნაკვეთიც. აღნიშნული პროგრამის განხორციელების პროცესში, გამოიკვეთა იმ დევენილთა დაინტერესებისა და მოტივაციის მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც არ იყვნენ ხსენებული პროგრამის ბენეფიციარები, თუმცა ჰქონდათ სასოფლო სამეურნეო საქმიანობის, კერძოდ, სასათბურე მეურნეობის მოწყობისა და გაძღოლის სურვილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ პარტნიორ ორგანიზაციასთან, პროექტ ზრდასთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაცია, განხორციელებულიყო წინამდებარე პროგრამის ფარგლებში სამიზნე ბენეფიციართა არეალის გაზრდა.

ამასთანავე, მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 2013 წლისათვის საქართველოში სიღარიბის დონე საგრძნობლად შემცირდა, „მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობდა სოფლად, ამავე დროს ღარიბი მოსახლეობის ორი მესამედი იყო სოფლად დასახლებული. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ სოფლად სიღარიბე უფრო ნელა მცირდებოდა, ქალაქად კი ეს პროცესი უფრო მკვეთრად იყო გამოხატული.“¹ ამავე კვლევის თანახმად, მოსახლეობის 68% ჩართულია სოფლის მეურნეობაში და მაინც სოფლად სიღარიბის უფრო მაღალი მაჩვენებელია და სოფლის მეურნეობის სექტორის წილი ქვეყნის მშპ-ში 7%-ს არ აღემატება.²

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2017 წლისათვის სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იმყოფება მოსახლეობის 21,9%, მათ შორის საგრძნობი სხვაობაა ქალაქსა და სოფლად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის (ქალაქში -18,6 %, ხოლო სოფლად 26,6%).³ ცალსახაა, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება. 2018 წლის ბოლოსათვის, დევენილთა 23% განსახლებულია სოფლად, ხოლო 77% - ქალაქში. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში,

¹ დასაქმება საქართველოში: სამუშაო ადგილების ლანდშაფტის შედარება, 2018 წელი, მსოფლიო ბანკი.

² ოგივე

³ http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

განსაზღვრულია მიწის რესურსის მქონე დევენილთათვის სასათბურე მეურნეობების მოწყობა, მათი კონსულტირება მოსავლის მოყვანისა და რეალიზაციის სწორ მეთოდებსა და მექანიზმებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებისა და სოფლების შერჩევა განხორციელდა რამდენიმე უმთავრესი ასპექტის გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ იქნა მთავრობის პრიორიტეტული მიმართულება - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. მხედველობაში იქნა მიღებული მიწის რესურსის მქონე დევენილთა მათ საცხოვრებელ ადგილებთან მჭიდროდ დაკავშირებული შემოსავლის წყაროს ქონის საჭიროება. ამასთანავე, გათვალისწინებულ იქნა პროექტ ზრდას სამიზნე თემებში შემავალი სოფლები. აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, პროექტ ზრდას მიერ სამიზნე ლოკაციების შერჩევა განხორციელდა ადგილობრივ თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ხუთი უმთავრესი კრიტერიუმის გათვალისწინებით. ეს კრიტერიუმებია: 1. მანძილი ადმინისტრაციულ საზღვართან; 2. ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების კონცენტრაცია; 3. ეკონომიკური განვითარების პოტენციალი; 4. ახალგაზრდებისა და ქალების კონცენტრაცია; 5. სხვა დონორების ჩართულობა რეგიონში.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებელ მოსახლეობას აქვს დასაქმებისა და საარსებო წყაროს შექმნის ნაკლები შესაძლებლობა, რაც მათ ეკონომიკურ სიდუხჭირეს კიდევ უფრო ამძიმებს. პროგრამის ფარგლებში დაფარულია სამიზნე მუნიციპალიტეტების 63 ასეთი სოფელი, რაც წარმოადგენს იქ მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის ხელშეწყობის ერთ-ერთ დამატებით მექანიზმს.

თავის მხრივ, ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებელთა წახალისება წარმოადგენს აუცილებლობას, რამდენადაც მაცხოვრებელთა მხრიდან საცხოვრებელი სახლების დატოვება და ნაკლები საფრთხის შემცველ ლოკაციებზე გადასახლება, გამოიწვევს სოფლების დაცარიელებას.

2. პროგრამის აღწერა

- 2.1 წინამდებარე პროგრამის მიზნებისათვის, „საქმიანობად“ ითვლება ისეთი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მიწის რესურსის მქონე დევენილების საარსებო წყაროების გაუმჯობესებას.
- 2.2 წინამდებარე პროგრამის მიზნებისათვის, ტერმინი „საარსებო წყაროები“ გულისხმობს იმ აქტივებსა და საარსებოდ აუცილებელ საშუალებებს, რომელიც საჭიროა შემოსავლის გაჩენისა და თვითდასაქმების გზით სიღარიბის დონის შემცირებისთვის. საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

- 2.3 საგრანტო პროგრამა ითვალისწინებს მიწის რესურსის მქონე დევენილთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერას.
- 2.4 პროგრამა ვრცელდება საქართველოს 17 მუნიციპალიტეტის 81 თემში. სამიზნე მუნიციპალიტეტებისა და თემების ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე პროგრამის დანართ N1-ში.
- 2.5 საქმიანობის სფეროა სასოფლო-სამეურნეო აქტივობები. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სასათბურე მეურნეობების მოწყობა პროგრამის სამიზნე ბენეფიციარებისათვის.
- 2.6 სააგენტო და პროექტი ზრდა უზრუნველყოფს სამიზნე ბენეფიციართა ინფორმირებას პროგრამის შესახებ. ინფორმირება განხორციელდება პირისპირ კომუნიკაციისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით.
- 2.7 პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საგრანტო განაცხადი, რომელიც განმცხადებელმა სრულყოფილად უნდა შეავსოს. არასრულყოფილად შევსებული საგრანტო განაცხადის წარდგენის ან აუცილებლად წარსადგენი დოკუმენტებიდან რომელიმეს დაურთველობის შემთხვევაში, განმცხადებელთან მოხდება დაკავშირება და განესაზღვრება გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, საგრანტო განაცხადი განუხილველად იქნება დატოვებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. საგრანტო პროგრამის პირობებით სათბურში მოსაყვანი კულტურები შეზღუდული არ არის და განმცხადებელს, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეუძლია თვითონ გააკეთოს არჩევანი. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული კულტურების სასათბურე მეურნეობის პირობებში მოყვანა უნდა იყოს რეალური და განხორციელებადი, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.
- 2.8 პროექტი ზრდა უზრუნველყოფს დაფინანსებულ ბენეფიციართა კონსულტირებას და მათთვის სატრენინგო/საკონსულტაციო პაკეტების შეთავაზებას. პროექტი ზრდა საქართველოში მუშაობას გააგრძელებს 2021 წლამდე და პროექტის განმავლობაში შეინარჩუნებს აქტიურ კავშირს ბენეფიციარებთან. სხვადასხვა აქტივობების ფარგლებში არსებული შესაძლებლობების შესაბამისად, ზრდა პროექტი მოახდენს ბენეფიციარების მხარდაჭერას.
- 2.9 პროგრამის ფარგლებში მოეწყობა 240 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე სასათბურე მეურნეობები. შესაძლებელი იქნება სამი ტიპის სათბურის მოწყობა ა) 6*40; ბ) 8*30; გ) 10*24
- 2.10 საგრანტო განაცხადის მაქსიმალური ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საბაზრო ფასებს. ერთი საგრანტო განაცხადის დაფინანსებისათვის სააგენტოს წილობრივ მონაწილეობად განსაზღვრულია სასათბურე კონსტრუქციის, ბენეფიციარის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მისი ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულება, არაუმეტეს 6 500 ლარისა. პროექტ ზრდას თანამონაწილეობაა



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

სასათბურე ფირისა და ვენტილაციის სისტემის, ბენეფიციარის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მისი ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულება, არაუმეტეს 6 500 ლარისა, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები.⁴ ამასთანავე, ბენეფიციარის თანამონაწილეობა უნდა იყოს მატერიალური სახის. შრომითი ან სხვა რაიმე სახის თანამონაწილეობა, რომელიც პროექტის განსახორციელებლად შეიძლება იყოს საჭირო, უნდა შესრულდეს ბენეფიციარის მიერ, თუმცა მისი განფასება არ განხორციელდება.

2.11 თანადაფინანსება წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. თანადაფინანსების ოდენობა არ უნდა იყოს 2.10 პუნქტში მითითებულ თანხაზე ნაკლები. სააგენტო და პროექტი ზრდა გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას განხორციელებს გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ საკუთარი წილობრივი მონაწილეობის შესრულებისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

2.12 მისაღები და მიუღებელი ინვესტიციის სახეები

- 2.12.1 საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ყველა სხვა ტიპის ინვესტიციის დაფინანსება, გარდა სასათბურე მეურნეობების მოწყობისა, ითვლება მიუღებელ ინვესტიციად.
- 2.12.2 პროგრამის მიზნებისათვის, ტერმინი „სასათბურე მეურნეობა“ გულისხმობს ტუნელის ტიპის სასათბურე კონსტრუქციის, სასათბურე ფირის, სარწყავი სისტემის, ფართის შესაბამისი ვენტილაციის, წყლის რეზერვუარისა (საჭიროების შემთხვევაში) და ტუმბოს ერთობლიობას.⁵
- 2.12.3 წყლის რეზერვუარის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, განისაზღვრება მისი მოცულობა. მისი შეძენა უნდა უზრუნველყოს განმცხადებელმა.

2.13 შეუსაბამო საქმიანობის სახეები

ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა მიიჩნევა შეუსაბამოდ:

- ✓ საქმიანობა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოზე;
- ✓ თანადაფინანსების, როგორც კაპიტალის გამოყენება;
- ✓ მიწის ნაკვეთის შეძენა;
- ✓ იჯარის/ქირის გადასახადის დაფინანსება;
- ✓ მუშახელის ანაზღაურება, გარდა სასათბურე მეურნეობის (კონსტრუქცია, ფირი, სარწყავი სისტემა და საჭიროების შემთხვევაში ვენტილაცია) მონტაჟზე გაწეული ხარჯისა;
- ✓ დაზღვევა და სოციალური ხარჯები;

⁴ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და ბენეფიციარის მიერ შესაძენი საქონლის ნუსხა წარმოდგენილია დანართ N3-ში.

⁵ სათბურის მოსაწყობად ზუსტი შესასყიდი მასალის მახასიათებლები მოცემულია დანართ N2-ში.



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

- ✓ სახელმწიფო და/ან კომუნალური გადასახადები;
- ✓ სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ცდება პროგრამის მიზანს;
- ✓ საბრუნავი (თესლი, სასუქი, მცენარეთა მოვლისა და დაცვის საშუალებები, ხარჯები);
- ✓ ინვესტიციის განხორციელება არასამიზნე სოფლებსა და ქალაქებში.

3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

3.1 პროგრამის სამიზნე ჯგუფია წინამდებარე პროგრამის დანართ N1-ში მითითებულ სამიზნე მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში მიწის რესურსის მქონე დევნილები.

3.2 პროგრამის ბენეფიციარისათვის დაწესებული კრიტერიუმები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები)

- 3.2.1 განმცხადებელი რეგისტრირებულია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სტატუსი აქტიურია;
- 3.2.2 განმცხადებელს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი აქვს იმ მიწაზე, რომელსაც თვითონ ან მისი შინამეურნეობის წევრი ფლობს საკუთრებაში;
- 3.2.3 განმცხადებელი უნდა ცხოვრობდეს წინამდებარე პროგრამის დანართ N1-ში ჩამოთვლილ ერთ-ერთი თემის სოფელში.

განმცხადებელს ან მისი შინამეურნეობის წევრს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს 240 კვადრატული მეტრის სასათბურე მეურნეობის მოწყობისათვის საჭირო მიწის ფართი.

შენიშვნა: პროგრამის მიზნებისათვის, შინამეურნეობად მიჩნეულია იმ პირთა ერთობა, რომლებიც ერთ საცხოვრებელ მისამართზე არიან რეგისტრირებულნი, რაც დადასტურებულია სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ იუსტიციის სახლის მიერ გაცემული ცნობით.

4. პროგრამის მიზანი

- 4.1 პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთის მხრივ, დევნილების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე. და მეორეს მხრივ, მათი მოტივირება და ჩართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.
- 4.2 პროგრამის კონკრეტული მიზნებია:
- სოფლად განსახლებული დევნილების შემოსავლის ზრდა მათი სასოფლო სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის გზით;
 - დევნილთა სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის ხელშეწყობა.



5. პროგრამის შედეგი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 15 სასათბურე მეურნეობის მოწყობა.

6. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების შეფასება ხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე დგინდება განმცხადებლისა და განაცხადის შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. მეორე ეტაპი გულისხმობს საგრანტო განაცხადის არსებით შეფასებას.

საგრანტო განაცხადი განხილვის მეორე ეტაპზე გადავა პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში.

7. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- 7.1 პროგრამის მიზნებისათვის განმცხადებლისა და საგრანტო განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება შესაბამის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის დადგენის გზით.
- 7.2 **განმცხადებლის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან:**
 - 7.2.1 განმცხადებელი რეგისტრირებულია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სტატუსი აქტიურია;
 - 7.2.2 განმცხადებელს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი აქვს იმ მიწაზე, რომელსაც თვითონ ან მისი შინამეურნეობის წევრი ფლობს საკუთრებაში;
 - 7.2.3 განმცხადებელი უნდა ცხოვრობდეს წინამდებარე პროგრამის დანართ N1-ში ჩამოთვლილ ერთ-ერთი თემის სოფელში.
- 7.3 **საგრანტო განაცხადის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან**
 - 7.3.1 საგრანტო განაცხადით გათვალისწინებულია იმ საქმიანობის წამოწყება, რომელიც პროგრამის მიზნებს შეესაბამება;
 - 7.3.2 საგრანტო განაცხადი შევსებულია სრულყოფილად, ანუ განმცხადებლის მიერ სრულყოფილად და გასაგებადაა მოწოდებული პროექტის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია.
 - 7.3.3 საგრანტო განაცხადს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი.

8. შეფასებების კრიტერიუმები და მათი განმარტება⁶

მეურნეობების მოწყობის ფარგლებში შემოსულ განაცხადთა განხილვისას მხედველობაში იქნება მიღებული შემდეგი გარემოებები:

შეფასების კატეგორია	შეფასების აღწერა	შეფასების ზღვარი (ქულა)
შემოთავაზებული საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოსადეგობა	სარწყავი წყლის, ელენერჯის და საგზაო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	0-10
განმცხადებლის გამოცდილება სასათბურე მეურნეობის წარმართვის, შემოთავაზებული კულტურის მოყვანის და სხვა.	უნდა შეფასდეს საარსებო საქმიანობის პროექტის წარმართვისათვის საჭირო ტექნიკური/ბიზნეს უნარები და ცოდნა. უპირატესობა მიენიჭებათ მსგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილების და/ან პოტენციალის მქონე კანდიდატებს.	0-30

⁶ პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნება 100 ქულიანი შეფასების სისტემა, რომელიც პროექტ ზრდას მოთხოვნით არის შემუშავებული.



ნათლად ჩამოყალიბებული საპროექტო იდეა / განაცხადი	პროექტის განხორციელების შედეგები ნათელი და რეალისტურია.	0-20
ხარჯთეფექტურობა	ფერმერის მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობა; ფერმერის მხრიდან არაფულადი თანამონაწილეობა	0-20
პროექტის მდგარდობის შეფასება. სამიზნე ბაზარი და პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებული გათვლები.	პროექტი შეფასდება იმის მიხედვით, აქვს თუ არა გაგრძელების პოტენციალი დაფინანსების დასრულების შემდეგ.	0-20
საბოლოო შეფასება (100 ქულიდან)		100

ქულების მინიჭების მაგალითი კრიტერიუმების მიხედვით:

შემოთავაზებული საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოსადეგობა

0 - შემოთავაზებული მიწა გამოუსადეგარია სასათბურე მეურნეობისათვის;

1-5 - მიწაზე ხელმისაწვდომია ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურა;

6-10 - მიწაზე ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა გამოსადეგია დაგეგმილი საქმიანობისათვის.

განმცხადებლის გამოცდილება სასათბურე მეურნეობის წარმართვის, შემოთავაზებული კულტურის მოყვანის და სხვა.



- 0 - განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება, ცოდნა ან უნარები, რომ განახორციელოს საარსებო წყაროების პროექტი;
- 1 - 5 განმცხადებელს აქვს ზოგიერთი უნარი, მაგრამ არ აქვს პროექტის განხორციელების გამოცდილება;
- 6 - 10 განმცხადებელს აქვს გარკვეული ცოდნა, უნარები და გამოცდილება;
- 11 - 15 განმცხადებელს აქვს ცოდნა, უნარები და გარკვეული გამოცდილება;
- 16 - 20 განმცხადებელს აქვს საკმარისი ცოდნა, უნარები და გამოცდილება;

- 21 – 25 განმცხადებელს აქვს კარგი უნარი, ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება;
- 26 – 30 განმცხადებელს აქვს სრულყოფილი ცოდნა და უნარი მრავალწლიან გამოცდილებასთან ერთად.

ნათლად ჩამოყალიბებული საპროექტო იდეა / განაცხადი

- 0 - პროექტის განხორციელების შედეგები ბუნდოვანი და არარეალურია;
- 1- 5 - პროექტის განხორციელების შედეგები ნორმალურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა რეალური არ არის;
- 6-10 - პროექტის განხორციელების შედეგები მეტნაკლებად ნათელი და რეალურია;
- 11-15 - პროექტის განხორციელების შედეგები კარგად არის ჩამოყალიბებული და მეტნაკლებად რეალურია;
- 16 – 20 - პროექტის განხორციელების შედეგები სრულყოფილად აქვს განმცხადებელს გააზრებული და რეალურია.

ხარჯთეფექტურობა

- 0 - განმცხადებელი არ არის მზად ფინანსური და საჭიროების შემთხვევაში შრომითი თანამონაწილეობისათვის;
- 1 – 5 - განმცხადებელი მზად არის შრომითი თანამონაწილეობისათვის, თუმცა ფინანსური თანამონაწილეობა საეჭვოა;
- 6-10 - განმცხადებელს სრულყოფილად არ აქვს გააზრებული მიერ მიერ გასაწევი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი, რაც ჩანს განაცხადის ფორმაში მის მიერ მითითებული ინფორმაციიდან;



11- 15 - განმცხადებელს გააზრებული აქვს მის მიერ გასაწერვი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი, თუმცა მისი მზადყოფნა საეჭვოა;

16-20 - განმცხადებელს გააზრებული აქვს მის მიერ გასაწერვი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი და მისი მზადყოფნა არ არის საეჭვო.

პროექტის მდგრადობის შეფასება. სამიზნე ბაზარი და პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებული გათვლები.

0 - პროექტი არ იქნება მდგრადი, რაც აშკარაა ფინანსური გათვლებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად;

1-5 - განმცხადებელს შევსებული აქვს ფინანსური გაანგარიშების ნაწილი, თუმცა გათვლები ნაკლებად რეალურია და/ან განმცხადებელი არ აპირებს მიღებული მოსავლის რეალიზაციას;

6 -10 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები მეტნაკლებად რეალურია და განაცხადიდან ირკვევა, რომ რეალიზაციის საკითხზეც აქვს განმცხადებელს ნაფიქრი, თუმცა შემოსავლის გაუმჯობესების ალბათობა დაბალია;

11 – 15 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები ძირითადად რეალურია და განმცხადებელს წარმოდგენა აქვს ზოგიერთ სარეალიზაციო პუნქტზე, რაც საშუალებას გვამლევს ვიფიქროთ, რომ პროექტი ალბათობის საშუალო ხარისხით იქნება წარმატებული დაფინანსების დასრულების შემდეგაც;

16-20 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები რეალურია და განმცხადებელს წარმოდგენა აქვს სარეალიზაციო პუნქტებზე, რაც საშუალებას გვამლევს ვიფიქროთ, რომ პროექტი ალბათობის მაღალი ხარისხით იქნება წარმატებული დაფინანსების დასრულების შემდეგაც;

9. წარსადგენი დოკუმენტაცია

განმცხადებელმა, საგრანტო განაცხადების მიღებისათვის დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. სრულყოფილად შევსებული საგრანტო განაცხადი. ფორმა სრულყოფილად შევსებულად ითვლება, თუ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხია გაცემული;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
3. იმ მიწის ამონაწერი, რომელზეც უნდა განთავსდეს სათბური. გამარჯვებულ ბენეფიციარს ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დაევალება განახლებული ამონაწერის წარდგენა;
4. ცნობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ან სსიპ იუსტიციის სახლიდან საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს სასათბურე მეურნეობა წარმოდგენს არა განმცხადებლის, არამედ შინამეურნეობის სხვა რომელიმე წევრის საკუთრებას, განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც განმცხადებლის, ასევე მიწის მესაკუთრე შინამეურნეობის წევრის სახელზე გაცემული ცნობა საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ.

10. პროგრამის განხორციელების პროცედურა

- 10.1 პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება განაცხადების მიღების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია განაცხადების მიღების გაგრძელება გონივრული ვადის ფარგლებში. განაცხადების მიღება ხდება წელიწადში ერთხელ. განაცხადების მიღების ვადები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 10.2 განაცხადები მიიღება პროექტ ზრდას ოფისებში შემდეგ მისამართებზე:
 - ქ. გორი; სტალინის ქ. N 27/1
 - ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48
 - ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3
 - ქ. თბილისი, ნ.რამიშვილის ქუჩა I ჩიხი 9
- 10.3 განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ პროექტი ზრდა გადასცემს სააგენტოს მიღებულ განაცხადებს, რის შემდეგაც ხდება მათი რეგისტრაცია სააგენტოს დოკუმენტბრუნვის სისტემაში.



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

- 10.4 განაცხადების მიღების პროცესში კვირაში ერთხელ პროექტი ზრდა სააგენტოს უგზავნის განმცხადებელთა პერსონალურ ინფორმაციას.
- 10.5 წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება საველე მონიტორინგი, შეივსება შესაბამისი ფორმა, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს სააგენტოს საველე ოფიცრის ხელმოწერით.
- 10.6 განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების განფასების დაზუსტების მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს წინასწარი ბაზრის კვლევის ჩატარებას. ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ფასებისა და არსებული ფინანსური რესურსის შედარების შედეგად გამოვლინდება, რამდენი განმცხადებლის დაფინანსებაა შესაძლებელი არსებული ასიგნებების ფარგლებში.
- 10.7 განაცხადების განხილვა მოხდება კომისიური წესით, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (კრიტერიუმების დეტალური ჩამონათვალი და აღწერა მოცემულია მე-7 და მე-8 თავებში). კრიტერიუმები განფასებულია შესაბამისი ქულებით, რომელიც მე-8 თავშია მოცემული. დაფინანსება მოხდება საგრანტო განაცხადის მიერ დაგროვებული ქულების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, დაფინანსდება ყველაზე მაღალქულიანი განაცხადები არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში. თუმცა გამარჯვებულად ვერ ჩაითვლება განაცხადი, თუკი კომისიის ყველა წევრის მიერ შეფასებული ქულების ჯამის საშუალო ქულა 70-ზე ნაკლებია. კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, თუკი გამოვლენილ გამარჯვებულ განმცხადებელთან რაიმე მიზეზის გამო ვერ ფორმდება ხელშეკრულება ან გამოვლინდება გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, სააგენტო უფლებამოსილია მომდევნო ყველაზე მაღალი ქულის განმცხადებელთან გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.
- 10.8 საგრანტო განაცხადების დაფინანსების მიზნით, სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოაცხადებს ტენდერს.
- 10.9 გამარჯვებულად გამოვლენისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ბენეფიციარი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეასრულოს მისი წილი თანამონაწილეობა და სააგენტოს წარმოუდგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

11.სამოქმედო გეგმა



დევილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

საქმიანობა	თებერვა ლი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბე რი	ოქტომბე რი
საგრანტო განაცხადების მიღება	X	X							
საგრანტო განაცხადების დამუშავება		X	X						
დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა(საჭიროების შემთხვევაში)		X	X						
საველე მონიტორინგი			X						
საგრანტო განაცხადების წარდგენა კომისიისათვის			X	X					
ბენეფიციარებთან ხელშეკრულების გაფორმება			X	X					
ბენეფიციართა მხრიდან თანამონაწილეობის შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის სააგენტოსათვის წარდგენა			X	X					
ბენეფიციარის ჩანაცვლება საჭიროების შემთხვევაში				X					



დევილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო
პროგრამა

საქმიანობა	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
ვადა მონაწილეობის შესასრულებლად				X	X				
ტენდერი და გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება					X	X			
სასათბურე კონსტრუქციის მოწყობა და შექმნილი საქონლის ბენეფიციარისათვის გადაცემა						X	X		
ზრდასა და ბენეფიციარის ნაწილის გადაცემა და სათბურის სრულყოფა							X	X	

12. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა განხორციელდება 2019 წელს.

13. პროგრამის ბიუჯეტი



დევენილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისა და პროექტს ზრდას მიერ ამ პროგრამისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ფარგლებში. მოცემული პროგრამისთვის 2019 წელს გამოყოფილი მაქსიმალური ბიუჯეტია 200 000 ლარი, საიდანაც 100 000 ლარი საბიუჯეტო სახსრებიდან არის გამოყოფილი, ხოლო 100 000 პროექტ ზრდას მიერ არის დაფინანსებული.

14. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო პირველად მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ შერჩეულ განმცხადებლებთან. შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს გრანტის ფარგლებში მოწყობილი სასათბურე მეურნეობების მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.

15. პროგრამის შეფასება

პროგრამის შეფასება განხორციელდება 2020 წელს. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით.